პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 218
(5768)

3 ნოემბერი, 1976 წ.
ოთხშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

**1 ნოემბერს
საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
სხდომათა დარბაზში
გაიმართა
საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის,
რესპუბლიკის მწერალთა
კავშირისა და თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
გაერთიანებული
სამეცნიერო
სესია, რომელიც მიეძღვნა
ღირსშესანიშნავ
თარიღს — საქართველოს
რუსეთთან შეერთების
175 წლისთავს.**

ეძღვნება დიდ ისტორიულ მოვლენას

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. შევარდნაძემ.**

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებანი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გ. პაიჭაძისა** — „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **ა. სურგულაძისა** — „ქართული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ა. ბარამიძისა** — „რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობა მე-17 — მე-18 საუკუნეებში“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ი. მიქელაძისა** — „საქართველოს რუსეთთან შეერთება და საქართველოს ეკონომიური განვითარება“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ი. ბოგომოლოვისა** — „რუსეთ-საქართველოს მე-19 — მე-20 საუკუნეების ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან“, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ნ. მახარაძისა** — „რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და ქართული საზოგადოება“.

სესიის მუშაობის შედეგები შეაჯამა **ე. შევარდნაძემ.**

გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ **პ. გილაშვილი, თ. მენთეშაშვილი, ჯ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ვ. სირაძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ნ. ჭითანავა, ხ. ხაბეიშვილი.** (საქინფორმი).

მიჯნები, რომლებიც უნდა დავიპყროთ

წლევანდელი შემოდგომის მეორე თვის მიწურული, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავის წინადღესასწაულო დღეები საბჭოთა ადამიანებისთვის განსაკუთრებული მოვლენებით აღინიშნა: მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი და საბჭოთა კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. პლენუმზე ღრმაშინაარსიანი, საპროგრამო სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი**. მან თავის გამოსვლაში საბჭოთა ხალხს გამოკვეთილად დაანახვა მიჯნები, რომლებსაც უნდა მივაღწიოთ უახლოეს ხუთ წელიწადში, მეცნიერულად გააანალიზა, თუ როგორ შეესაბამებიან მეათე ხუთწლიანი გეგმა და პროექტები პარტიის მითითებებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში მოყვანილ დებულებებსა და დასკვნებს კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი აღიქვამენ, როგორც საბრძოლო პროგრამას, რომელიც უტყუარი, ლენინური გეზია პარტიის XXV ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისთვის საერთო-სახალხო ბრძოლაში.

როგორც ოქტომბრის პლენუმზე აღინიშნა, ხუთწლიანი გეგმის პროექტში განსახიერებული ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ გამოაცხადა, ითვალისწინებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარის შემდგომ გაუმჯობესებას, ეს კი, თავის მხრივ, უცილობლად მოიცავს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობის შემდგომ ზრდას, ფიზკულტურული მოძრაობის უფრო ფართოდ გაშლას.

1976-1980 წლები, მეათე ხუთწლედის წლები, როგორც ცნობილია, მოიცავს, აგრეთვე, ხანას, რომელიც ჩვენმა სპორტმა უნდა განვლოს მონრეალის ოლიმპიადიდან მომავალ, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებამდე. უკვე ეს გარემოებაც აორკეცებს იმ ორგანიზაციების პასუხისმგებლობას, რომლებიც მოწოდებული არიან უკეთ გამოიყენონ ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი დანერგვის შესაძლებლობანი.

მეათე ხუთწლედი, ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედი, უნდა იქცეს საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციათა მუშაობის ძირეული, ხარისხობრივი გარდაქმნის ხუთწლედად. სწორედ ეს პერიოდი უნდა იყოს ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 3 ივლისის ცნობილი დადგენილების რეალიზაციის, მისი ცხოვრებაში განუხრელად გატარების პერიოდი. რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა უთუოდ განახორციელონ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების როგორც 1977 წლის გეგმა, ასევე ის ამოცანები, რომლებიც დასახულია მომავალი ხუთი წლისთვის. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ გეგმათა განხორციელებაში ვიხელმძღვანელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მითითებით, რომელიც მან მოგვცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე.

„ისე უნდა მოვიქცეთ, რომ თითოეულმა შრომითმა კოლექტივმა, თითოეულმა მშრომელმა იცოდეს პერსპექტივა, ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი მიჯნები, რომლებიც უნდა დაიპყროს, ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს“.

„ლელოს“ დღევანდელი ნომრის I-II გვერდებში მკითხველებს მოვუთხრობთ ჩვენი ფიზკულტურული მუშაობის განვითარების ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღმავლობის პერსპექტივათა შემადგენელი ნაწილია.

მწვერვალისკენ...

შ. მირიანაშვილის ფოტო.

ქართველ მთამსვლელთა ოქროს მედლები

საკავშირო სპორტკომიტეტმა შეაჯამა მთამსვლელთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის შედეგები და ტექნიკურ კლასში ოქროს მედლები მიაკუთვნა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს გუნდს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **გ. ქართველიშვილი** (ექსპედიციის ხელმძღვანელი), **დ. შარაშენიძე** (გუნდის თავი), **ტ. ლუკაშვილი, გ. ზუმბაძე, მ. პიპინაძე** და **თ. ბაქანიძე.**

ამ ჯგუფმა ტიან-შანში ცენტრალური გზით დალაშქრა მწვერვალ ჯიგიტის ჩრდილოეთის კედელი. ტაქტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით ამ 900-მეტრიანი ტრასის გავლა ბევრად მნიშვნელოვანია როსტოველ მთამსვლელთა შარშანდელ წარმატებაზე.

ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვა, აგრეთვე, საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ **შ. მირიანაშვილი** (ხელმძღვანელი), **დ. დანგაძე** (გუნდის თავი), **ა. აბაშიძე, ხ. ბარლიანი** და **შ. გაბისიანი.** ამ კვინტეტმა იმარჯვა ტრავერსების კლასში.

განხორციელდება მეათე ხუთწლედში

სიდიადე ჩვენი გეგმებისა

მეათე ხუთწლედის სოციალური პროგრამა სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის წინსვლასა და გაფართოებასთან ერთად ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებასაც ითვალისწინებს.

ხუთწლედში დიდი სამოქმედო პროგრამა აქვს დასახული ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციასაც. **მოდით, მკითხველო, ერთად გავეცნოთ ამ პროგრამას, ვნახოთ, რა იმალება გეგმის ერთი შეხედვით მშრალი, სინამდვილეში კი უაღრესად მრავლისმეტყველი და ღრმაშინაარსიანი ციფრების მიღმა.**

ამ ციფრების მიღმა ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე დგას, ჩვენი მომავალი თაობის სიჯანსაღე, სულიერი და ფიზიკური სიმტკიცე, ბურჯი და საძირკველი საბჭოთა სახელმწიფოს სამარადჟამო ძლიერებისა.

დიდ საქმეს დიდი გატაცებით შებმა უნდა, დიად მიზანს სუსტი და უძლური ვერ შესწვდება. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანა ყოველი ჩვენგანისთვის სისხლხორცეული,

საშვილიშვილო საქმეა, რომელსაც მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული, ყოველმხრივ ღონიერი, ყოველმხრივ ჯანსაღი ადამიანები დააგვირგვინებენ წარმატებით.

სპორტკომიტეტის მიერ დასახული გეგმის ციფრები თავისი მშრალი ენით სასიხარულო ამბებს გვამცნობენ. ისინი, მაგალითად, გვეუბნებიან, რომ სწორედ ზემოაღნიშნული დიდი მიზნის განსახორციელებლად ხუთწლედში საქართველოში არსებულ 901 სპორტულ დარბაზს კიდევ 77 ასეთი ბაზა შეემატება. დღეს თუ 409 საფეხბურთო მინდორი გვაქვს, ხუთწლიანი გეგმის ხორცშესხმის შემდეგ 570 გვექნება, კალათბურთელები დღეს არსებული 1137 მოედნის ნაცვლად 1389

გამართავენ საინტერესო შეჯიბრებებს, ივარჯიშებენ, ოსტატობას აიმაღლებენ; ამჟამად რესპუბლიკაში 1419 ფრენბურთის მოედანია, მალე კი 1692 იქნება.

სხვათა შორის, ხუთწლიანი გეგმა ყველაზე მეტ სიხარულს ხელბურთელებს მოუტანს: დღეს მათს განკარგულებაში არსებულ 268 მოედანს კიდევ 132 ბაზა დაემატება. გარდა ამისა, გვინდა მკითხველს ვაცნობოთ, რომ ხუთწლედში მწყობრში ჩადგება 10 ახალი საჩოგბურთო კორტი (ამჟამად რესპუბლიკაში 44 მოედანია), 43 25-მეტრიანი საცურაო აუზი (ამ ბაზების რიცხვი ოთხმოცს მიაღწევს), 62 ტირი (დღეს 76 გვაქვს), 30 საჭიდაო სარბიელი. აიგება კიდევ 11 სტადიონი (მათი საერთო რიცხვი 76-მდე გაიზრდება), ერთი სპორტის სასახლე 2500 მაყურებლისთვის, სამი წყალქომარდობისა და ნიჩბოსნობის სადგური, ერთი მძლეოსნური მანეჟი, სამი სტენდი, ერთი სასწავლო ველოტრეკი, ერთი სათხილამურო ბაზა. ამავე დროს, გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილი ბაზა რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახსრებით შენდება. საქართველოს სპორტკომიტეტი აიგებს ერთ სტადიონს, ერთ სასწავლო მძლეოსნურ მანეჟს, ერთ დახურულ საჩოგბურთო კორტს, 40-მეტრიან ტრამპლინს ხელოვნური საფარით, საბუქსირო ამწეს, საბაგირო-სავარძლიან გზას, სამდარბაზიან კორპუსს, ხუთ საცურაო აუზს და ა. შ. დაგეგმილია სპორტული ბაზების მშენებლობა საქართველოს პროფსაბჭოს ხაზითაც. პროფკავშირელი სპორტსმენებისთვის აიგება მძლეოსნური მანეჟი, ორდარ-

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XVI ჩემპიონატი

• •

ლენინგრადსა და გლაზოვში...

1 ნოემბერს დაიწყო სსრ კავშირის XVI ჩემპიონატი ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ლენინგრადში თამაშობენ „ბოლშევიკი“, ასკ (მინსკი), ცსკა, უნივერსიტეტი, (კრასნოდარი), „ალუმინსტროი“ და ინდუსტრიული ინსტიტუტი (ორივე — ზაპოროჟიე). გლაზოვში გამოდიან მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, „კუნცევო“, „ბურევესტნიკი“ (თბილისი), კიევისა და ლვოვის ასკ, კაუნასის „გრანიტასი“.

გაგაცნობთ გლაზოვის შეჯიბრების პირველი დღის შედეგებს: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ასკ (ლვოვი) 22:23 (10:12), „კუნცევო“ — ასკ (კიევი) 22:20 (9:11), საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 35:25 (16:13),

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯნები, რომლებიც უნდა დავიპყროთ

განხორციელდება მეათე ხუთწლედში

დასასრული

ბაზიანი კორპუსი საცურაო აუზით (სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოსთვის), სამთო-სათხილამურო ბაზები („სპარტაკის", „კოლმეურნისა" და „ლოკომოტივისთვის"), სამი კომპლექსური სპორტული სარბიელი, ორი სტადიონი, სამი საცურაო აუზი, ერთი სპორტდარბაზი.

ერთი სიტყვით, მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლას ბაზების ნაკლებობა არ შეაფერხებს.

სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოება ხელს შეუწყობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაჭრასაც. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით 1980 წლისთვის რესპუბლიკაში ფიზკულტურელთა რაოდენობა 1140 ათასამდე გაიზრდება, მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიცხვი 255 ათასს მიაღწევს, მასობრივი თანრიგების სპორტსმენებისა — 269 ათასს, პირველთანრიგოსნებისა — 4567-ს, სპორტის ოსტატობის კანდიდატებისა — 1100-ს, სპორტის ოსტატებისა — 240-ს.

სიდიადე ჩვენი გეგმებისა

ხუთწლიანი გეგმა უფრო მაღალ მიზნებსაც გვისახავს რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების საქმეში. საქართველო მოწინავე საბჭოთა ათლეტთა სახელოვან არმიას შემატებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს: 1976 წელს — თვრამეტს, 1977 წელს — თორმეტს, 1978 წელს — ცამეტს, 1979 წელს — თხუთმეტს, 1980 წელს — ჩვიდმეტს. შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს რიცხვების ეს თანდათანობითი შემცირება, მაგრამ ამასაც თავისი მიზეზი აქვს: 1977 წლიდან ინერგება ახალი ერთიანი საკავშირო კლასიფიკაცია, რომელიც სპორტსმენთათვის გაზრდილ მოთხოვნებს ითვალისწინებს.

მეათე ხუთწლედში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები დამუშავდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საქართველოს ყველა ქალაქსა და რაიონში.

ღრმად გვწამს, რომ ის ორგანიზაციები, რომელთაც ევალებათ ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული აღმავლობისთვის ზრუნვა, ძალღონეს არ დაზოგავენ დასახული გეგმის პირნათლად შესრულებისთვის, რადგან ეს გეგმები პარტიისა და მთავრობის ერთობლივი ნების ნათელი გამოხატულებაა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ფიზკულტურული მუშაკები და სპორტსმენები მხურვალედ, ერთსულოვნად იწონებენ საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომელთა განხორციელებაც თითოეული ჩვენგანის საპატიო მოვალეობაა.

თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი სასწავლებელია ჩვენი რესპუბლიკისა. აქ აღზრდილი ათასობით სპეციალისტი ნაყოფიერად მოღვაწეობს როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბევრი სიახლე უნდა მოხდეს მეათე ხუთწლედში აქ. და ეს შეეხება მისი მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა მხარეს. ავიღოთ, მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება: ინსტიტუტის ტერიტორიაზე აშენდება სამდარბაზიანი კორპუსი სპორტული თამაშებისთვის (პროექტის ავტორია საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი ო. თუხარელი), 25-მეტრიანი საცურაო აუზი (წყლის გათბობით), სანიჩბოსნო აუზი, რომლის პროექტიც მოსკოველმა სპეციალისტებმა დაამუშავეს, ძიუდოს სპეციალიზებული დარბაზი. გარდა ამისა, მთავარ კორპუსთან აიგება კიდევ ერთი — აუდიტორიებისა და კაბინეტებისთვის. სახეს შეიცვლის ინსტიტუტის მთელი ტერიტორია, რომლის კეთილმოწყობისთვისაც უკვე მუშაობენ.

რაც შეეხება ინსტიტუტის ლაბორატორიებისა და კაბინეტების თანამედროვე მოწყობილობითა და აპარატურით აღჭურვას, ამ მხრივ ბევრი რამ უკვე გაკეთდა. მაგალითად, უცხო ენათა კათედრაზე მოეწყო ლინგოფონური კაბინეტი ოცი ჯიხურით, სადაც დაიდგა ურთულესი ჩეხოსლოვაკიური მოწყობილობა. ზეპირმეტყველების ლაბორატორიას საკმაოდ აქვს მაგნიტოფონები, მიკროფონები, ფირსაკრავები, ფილმოსკოპები და ა. შ. აქვე მოწყობილია მცირე კინოდარბაზი, სადაც სტუდენტები ნახავენ სასწავლო ფილმებს.

ინსტიტუტის სიამაყეა სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც სტუდენტები, აგრეთვე, საქართველოს ნაკრები გუნდების წევრები საწვრთნელი დატვირთვის შემდეგ გარკვეულ პროცედურებს გადიან, რათა სწრაფად აღიდგინონ ძალა. აქ გამოყენებულია ვიბრომასაჟი, ჰიდრომასაჟი, ორთქლის აბანო, კრავჩენკოს ბაროკამერა, რომლის დახმარებითაც უმჯობესდება კიდურების სისხლით მომარაგება და ა. შ. გათვალისწინებულია სარეაბილიტაციო ცენტრის გაფართოება, მისი თანამედროვე აპარატურით აღჭურვა.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით უფრო ფართოდ იქნება გამოყენებული მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებები და მეთოდები. მოსკოვში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე რეგულარულად გაიგზავნებიან ინსტიტუტის წარმომადგენლები. პრაქტიკაში ფართოდ დაინერგება სპეციალისტთა გაცვლა-გამოცვლა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ფიზკულტურის ინსტიტუტებთან. უკვე ამჟამად სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის კონსულტანტად მოწვეულია პროფესორი ვ. ფარფელი, უახლოეს მომავალში კი ლენინგრადიდან ჩამოვა პროფესორი ნ. ზიმკინი.

სტუდენტებს პროგრამის წარმატებით ათვისებასა და სამეცნიერო მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. აქ დაცულია 80000-მდე ნაშრომი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემატიკაზე, მხატვრული ლიტერატურა, დამხმარე სახელმძღვანელოები სპორტის ყველა სახეობაში. საკუთარი სტამბა ინსტიტუტს საშუალებას მისცემს ხუთწლედის ბოლოსთვის სტუდენტები და მასწავლებლები უზრუნველყოს ქართულ ენაზე გამოცემული საჭირო ლიტერატურით.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე გათვალისწინებულია მრავალი საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის ჩატარება. მაგალითად, გაისად, მაისში, აქ მოეწყობა საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიომექანიკის საკითხებზე, ნოემბერში — საკავშირო თათბირი აღდგენითი პროცესებისა და რეაბილიტაციის მეთოდების პრობლემებზე, დეკემბერში — საერთაშორისო კონფერენცია სპორტულ ტრავმატიზმში. ინსტიტუტმა ეს პატივი სპორტის სფეროში ჩატარებული ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით მოიპოვა. ამჟამად სასწავლებლის კოლექტივი მუშაობს მოციგავეთა და სამთომთხილამურეთა საკავშირო ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის პრობლემებზე. მეათე ხუთწლედში ამ მიმართებით მუშაობა კიდევ უფრო გაღრმავდება, უფრო ფართო მასშტაბით გაიშლება.

ინსტიტუტის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო მშდ კომპლექსისა და მრავალჭიდების კათედრის გახსნა. ამგვარად, შეიქმნა მეთოდური ცენტრი, რომელიც საჭირო რეკომენდაციებს დაამუშავებს. აგრეთვე, იკისრებს მშდ-ს პროპაგანდის, ამ კომპლექსის ცხოვრებაში დანერგვის საკითხების დამუშავებასაც. საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, ინსტიტუტის ბევრი თანამშრომელი მშდ კომპლექსის ინსპექციის მუშაობაშია ჩაბმული.

რამდენიმე სიტყვა სპორტული მუშაობის შესახებ. ამ ბოლო დროს მკვეთრად გაუმჯობესდა ინსტიტუტის სპორტკლუბის საქმიანობა. ინსტიტუტის წარმომადგენლები წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში. ამავე დროს, სასიხარულოა, რომ ისინი წარმატებებს აღწევენ დღეისთვის რესპუბლიკაში ჩამორჩენილად მიჩნეულ სახეობებში — ფრენბურთში, ფარიკაობაში, კრივში. ფეხბურთელთა გუნდს ყველა საშუალება აქვს „ა" კლასში გადასვლისა.

სტუდენტთა სპორტული ოსტატობის ამაღლებას უდავოდ ხელს შეუწყობს სასწავლებლის სპორტული ბაზის შემდგომი გაფართოება და განმტკიცება, გუნდების გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის ფიზკულტურის ინსტიტუტებთან, ბულგარეთის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების ამავე ტიპის სასწავლებლებთან, ხოლო ინსტიტუტის ბაზაზე კვალიფიციური სამეცნიერო კადრების შემდგომი კონცენტრაცია, ძლიერი სამედიცინო კონტროლის სამსახურისა და სპორტული ბაზების ქსელის შექმნა, რაც უახლოეს ხუთწლედში არის გათვალისწინებული, ამ უმაღლეს სასწავლებელს ხარისხობრივად უფრო მაღალ, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აიყვანს.

ბ. ქვათაძე.

* * *

სურათებზე: ზეპირმეტყველების ლაბორატორია. მეცადინეობას ატარებს მასწავლებელი ლ. შუბლაძე; სარეაბილიტაციო ცენტრი. ცენტრის თანამშრომელი ე. ბერძული და მეთოდისტი ა. თავართქილაძე კრავჩენკოს ბაროკამერასთან მუშაობისას.

ავტორის ფოტოები.

თქვენთვის, პრიზიორებო!

ამა თუ იმ რანგის შეჯიბრებაში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენისთვის მისი წარმატების უპირველესი დასტური და სასიხარულო ჯილდო მედალია. ის არის უტყუარი მოწმე იმისა, თუ რამდენად მარჯვე, მოქნილი და სწრაფი იყო მისი მფლობელი.

სამწუხაროდ, აგერ მერამდენე წელია საქართველოს ჩემპიონატებში გამარჯვებული ათლეტები მოკლებული არიან ამ სიხარულს — მედლის მიღებას. გაისიდან ეს ნაკლიც გამოსწორდება — საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ დაამტკიცა ნიმუში მედლისა, რომლის ორივე მხარესაც ამ ფოტოსურათებზე ხედავთ.

მედლები სამი ხარისხისა იქნება. ამ ჯილდოებს მიიღებენ საქართველოს ჩემპიონები, მეორე და მესამე პრიზიორები.





ეს ზღვაში წვეთია...

ფიზკულტურა და სპორტი საბჭოთა ადამიანებისთვის ისევე სულიერ მოთხოვნილებად იქცა, როგორც ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა... სპორტული სანახაობის როლი გასცდა თამაშის ვიწრო ჩარჩოებს. დღეს სპორტი ხალხთა შორის ურთიერთობის განმტკიცების, მათი დაახლოებისა და დამეგობრების ერთ-ერთი ნაცადი გზაა.

სწორედ ამითაა განპირობებული, რომ საბჭოთა ქვეყანაში უდიდესი ყურადღება ექცევა სპორტის განვითარებას. გულრიფშის რაიონის 64 ძირეულ კოლექტივში, მაგალითად, 7500 კაცია გაერთიანებული. წლეულს რაიონში მომზადდა 2 სპორტის ოსტატი, 20 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი, 420 სხვა თანრიგების სპორტსმენი. მშდ კომპლექსის ნორმატივები მთლიანად ჩააბარა 1870 კაცმა, მომზადდა 359 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მწვრთნელი, ხოლო მსაჯების რიცხვი 307-მდე გაიზარდა.

ახალი ხუთწლედის პირველ წელს რაიონში ბევრი საინტერესო სპორტული ღონისძიება ჩატარდა.

მაგალითად, დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეთა სპარტაკიადამ, რომელშიც ყველას დრანდის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა აჯობეს (II ადგილი დაიკავეს მერხეულის მ. ლაკირბაის სახელობის, III — გულრიფშის რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლების გუნდებმა). გარდა ამისა, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გაითამაშეს რაიონის თასი, ჩატარდა შეჯიბრებები ტყვიის სროლაში (წვევამდელთა შორის), მშდ კომპლექსის მრავალჭიდში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე, სადაც თავი ისახელეს კოლმეურნეობა „ესტონკის", გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, ფშაფის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებმა.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სპორტული ორგანიზაციები ზრუნავენ სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის. ბევრგან უკვე მოეწყო ფეხბურთის მინდვრები, კალათბურთის, ფრენბურთისა და სხვა მარტივი ტიპის მოედნები. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის. მაგალითად, რაიონის ბავშვთა სპორტულ სკოლას, სადაც 267 მოსწავლე სწავლობს, საკუთარი ბაზა არა აქვს. მეცადინეობები ღია ცის ქვეშ ან ახლომდებარე სკოლის სპორტულ მოედნებზე ტარდება, რაც მუშაობას საგრძნობლად აფერხებს.

დრანდის ლესელიძის, მერხეულის ბარათაშვილის სახელობის, წებელდისა და ფშაფის საბჭოთა მეურნეობებს, მართალია, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები აქვთ, მაგრამ ისინი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს. აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელები კი ნაკლებად ფიქრობენ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

მაჭარის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი როგორც რაიონულ, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც, მაგრამ სამიოდე წლის წინათ ამ სოფელში სტადიონი გადახნეს და თამბაქოს პლანტაცია გააშენეს. წლეულს კოლმეურნეობამ სტადიონისთვის ნაკვეთი გამოყო, ახალგაზრდებმაც იზრუნეს ახალი ბაზის კეთილმოწყობისთვის, მაგრამ სამი წლის განმავლობაში ჩაშლილი სპორტული მუშაობის გამოსწორებას საკმაო დრო დასჭირდება. ასეთივე მდგომარეობაა ამტყელისა და ლათის სასოფლო საბჭოებში, სადაც ყოფილმა ხელმძღვანელებმა სტადიონები სათამბაქოე ნაკვეთებად აქციეს.

ზემოაღნიშნული ფაქტები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისთვის ზოგიერთი ხელმძღვანელი ნაკლებად იწუხებს თავს.

გულრიფშის რაიონის ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობა სათანადო სიმაღლეზე დგას, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს ზღვაში წვეთია. საჭიროა მეტი მონდომება. პირველადმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სპორტის განვითარებისთვის ზრუნვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დაისახონ, ყველაფერი იღონონ იმისთვის, რომ ფიზკულტურა და სპორტი ყველა მშრომელისთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

დ. დადიანი,
გულრიფშის რაიონულ გაზეთ „დროშის" რედაქციის განყოფილების გამგე.

ოცდამეცამეტე ალპინიადა

ამ დღეებში მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნდნენ ტრადიციული, რიგით 33-ე ალპინიადის მონაწილენი, რომლებმაც თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად დალაშქრეს ხდის მთათა ჯგუფი და მყინვარწვერი.

ალპინიადის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ნახევრადგამტართა ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის გამგე, სპორტის საპატიო ოსტატი შოთა მირიანაშვილი მოგვითხრობს:

— ალპინიადაში მონაწილეობდა 100 სტუდენტი, პროფესორ-მასწავლებელი, თანამშრომელი და სპორტული კლუბის 15 მთამსვლელი, გვყავდა სტუმრებიც — ლენინგრადისა და დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. აგრეთვე, ჩეხი ფიზიკოსი და მთამსვლელი ირჟი სტრახოვა.

თორმეტდღიანი ალპინიადის პირველი დღეები, როგორც მუდამ, თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს დაეთმო. ახალბედებმა ისწავლეს ნაშალზე, თოვლიან და ყინულიან ფერდობებზე სიარულის, კლდეზე ცოცვის, მთის მდინარეთა გადალახვის და მთაში პირველი სამედიცინო დახმარების ხერხები. თუმცა ზოგი რამ მათთვის ჯერ კიდევ ალპინიადის დაწყებამდე იყო ცნობილი — საქართველოს ალპური კლუბის ბაზაზე ვაჩვენეთ სამთო-სასწავლო ფილმები, ხოლო გამოცდილმა მთამსვლელებმა ლექციები წაუკითხეს.

ბანაკში მეცადინეობას მაინც თავისი უპირატესობა აქვს: ახალგაზრდები გაეცნენ კავკასიონის გეოგრაფიასა და გეოლოგიურ აღნაგობას, მცენარეთა საფარს, საბჭოთა და უცხოეთის მთამსვლელობის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. თავისუფალ დროს აკვირდებოდნენ გარემოს: ხდის ულამაზესი ბუნება, სადაც კარვების ქალაქი იდგა ჩვენი უნივერსიტეტის ალპინიადების ძველი ასპარეზია. აქ ბევრმა მთამსვლელმა აიდგა ფეხი და შეიყვარა მამაცთა სპორტი; და საერთოდ, საბჭოთა მთამსვლელობის ფუძემდებელი ხომ ჩვენი უნივერსიტეტია. როგორც ცნობილია, 1923 წლის 28 აგვისტოს და 3 სექტემბერს უნივერსიტეტის პროფესორების გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე განხორციელებულმა ასვლებმა დაუდეს მას სათავე...

ტრადიცია გრძელდება... ახლა ბანაკიდან პირველი გავიდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების 28-კაციანი რაზმი სპორტის ოსტატ სერგო ბარლიანისა და ოსტატობის კანდიდატ ლევან ღლონტის ხელმძღვანელობით. უთოვლო შემოდგომა, ყინული დამატებით სიძნელეს ქმნიდა, მაგრამ რაზმმა 6 ოქტომბერს, სწორედ ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავის საიუბილეოდ, დაიპყრო მყინვარწვერი (5033 მ). აღსანიშნავია, რომ პირველ საბჭოურ ასვლაში ხუთი ქალი მონაწილეობდა. ამჯერადაც რაზმის მნიშვნელოვან ნაწილს სტუდენტი ქალიშვილები შეადგენდნენ.

იმავე დღეს ახალგაზრდა მთამსვლელების 57-კაციანმა რაზმმა დალაშქრა ყურო (4200 მ). ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩვენი ალპინიადების ისტორიაში (იგი 1937 წლიდან იწყება), როცა მწვერვალზე ავიდა რაზმის ყველა მონაწილე, მათ შორის თბილისის მე-100 საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლე გიორგი მირიანაშვილი...

ასვლას ხელმძღვანელობდნენ ალპინიადის სასწავლო ნაწილის უფროსი, სპორტის ოსტატი რ. ხაზარაძე, სამაშველო ჯგუფის უფროსი, სპორტის ოსტატი დ. დანგაძე და გამოცდილი სპორტსმენი ინსტრუქტორები: დ. სვიმონიშვილი, კ. ჭიჭელაშვილი, თ. ახალბედაშვილი, გ. ბერძენიშვილი და სხვები.

ამ დროს ნიშნოსან მთამსვლელთა რაზმი ინსტრუქტორების დ. თარხნიშვილის და ვ. სიხარულიძის ხელმძღვანელობით მწვერვალ გორისკენ (4195 მ) მიიწევდა. შარშანდელი ალპინიადის მონაწილე 25 ნიშნოსნისთვის ეს იყო უფრო რთული, მეორე კატეგორიის მწვერვალი.

ალპინიადის ყველაზე რთული ასვლები განახორციელეს სპორტულმა ჯგუფებმა გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, სპორტის ოსტატის ალიოშა გავაშელის ხელმძღვანელობით. მათ დაიპყრეს ხდის მთათა ჯგუფის მწვერვალები: რუსთავი, ჭავჭავაძე, წერეთელი, ძნელაძე, ჯაფარიძე, გამარჯვება, პიონერთა სასახლე და შანი, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 4200-4400 მეტრს აღწევს.

ალპინიადის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ახალბედა იყო, ისინი ეზიარნენ მთამსვლელობას, ბევრმა აიმაღლა სპორტული კვალიფიკაცია, რაც შეეხება ლენინგრადელ, დნეპროპეტროვსკელ და ჩეხ სტუმრებს, შემოდგომით, კავკასიონითა და უნივერსიტეტელების მასპინძლობით დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

ბ. მანია.

* * *

სურათებზე: მყინვარწვერი; ახალბედა მთამსვლელთა ასეული.

შ. მირიანაშვილის ფოტოები.

ჩემპიონატის ქრონიკა

მოგვყავს 30 ოქტომბერს ჩატარებული მატჩების სტატისტიკური მონაცემები:

„შახტიორი" — „დინამო" (მინსკი) 2:1. ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა დონეცკელმა სტარუხინმა (11-მეტრიანით). 38-ე წუთზე მან კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი, ხოლო მე-60 წუთზე პროკოპენკომ ერთი საპასუხო გოლი გაიტანა.

„ჩერნომორეცი" — „ლოკომოტივი" 1:1. მე-40 წუთზე რკინიგზელი რიახოვსკის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია, მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე კი საპოჟნიკოვმა აღადგინა წონასწორობა.

„ზარია" — „სპარტაკი" 2:0. სპარტაკელთა კარში ბურთები გაიტანეს ელისეევმა და იგნატენკომ.

„დინამო" (კიევი) — „კრილია სოვეტოვი" 2:0. კიეველებმა ბლოხინმა (47-ე წუთზე) და კონკოვმა (62-ე), ორჯერ აიღეს მეტოქის კარი.

„არარატი" — ცსკა 1:1. არმიელმა ნიკონოვმა მე-14 წუთზე გახსნა ანგარიში, შესვენების შემდეგ (49-ე წუთზე) ერევნელმა ხალაიჯიანმა გაქვითა ეს გოლი.

„დნეპრი" — „ტორპედო" 1:0. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი დამარცხდა 62-ე წუთზე დნეპროპეტროვსკელი იაკოვლევის მიერ გატანილი გოლის შედეგად.

„კარპატი" — „დინამო" (მოსკოვი) 2:0. ორივე გოლი შესვენების შემდეგ გაიტანეს: ჩორბამ (11-მეტრიანი დარტყმით) და ლიხაჩოვმა.

უმაღლესი ლიგა

ტურნირი დაიწყო

ბათუმი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). სტარტი აიღო ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობენ 1959-61 წლებში დაბადებული მოთამაშეები.

პირველი ტურის შედეგები ასეთია: საფეხბურთო სკოლა (ვლადიმირი) — საფეხბურთო სკოლა (ბუხარა) 5:0, „სპორტინტერნატი" (ტაშკენტი) — „კრასნი ტრეუგოლნიკი" (ლენინგრადი) 0:1, „პირინი" (ბლაგოევგრადი) — საფეხბურთო სკოლა (ერევანი) 1:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ადგილობრივი გუნდების — საფეხბურთო სკოლისა და „დინამოს" შეხვედრა. იგი მოიგეს დინამოელებმა — 2:1.

II ტურში ლენინგრადელებმა დაამარცხეს ბუხარელები — 1:0, ხოლო ბლაგოევგრადელებმა — ვლადიმირის გუნდი 2:0. ბათუმის საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა ფრედ ითამაშეს ტაშკენტელებთან — 1:1. ბათუმის „დინამომ" დაამარცხა ერევნის საფეხბურთო სკოლის გუნდი — 1:0.

ი. კუსიდი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ნაგება ბოლო მატჩში

ქუთაისის „ტორპედოს" ბოლო მატჩი როსტოვში ჰქონდა ადგილობრივ არმიელებთან და დამარცხდა ანგარიშით 1:3.

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ქაირათი" (ალმა-ათა) — „კუზბასი" (კემეროვო) 3:1, „პამირი" (დუშანბე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 3:2, „ყუბანი" (კრასნოდარი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:2, „იალბუზი" (ნალჩიკი) — „დაუგავა" (რიგა) 2:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0, „თერგი" (გროზნო) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 3:2, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „რუბინი" (ყაზანი) 3:2.

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ქაირათი"	38	24	8	6	55—23	56
„ნეფთჩი"	38	22	10	6	70—34	54
„ფახთაქორი"	37	18	11	8	61—29	47
„ტავრია"	38	17	12	9	59—32	46
„ნისტრუ"	38	15	14	9	51—40	44
„ზვეზდა"	37	15	11	11	51—43	41
„ტორპედო"	38	13	15	10	46—38	41
„კუზბასი"	38	16	7	15	59—50	39
„კოლხოზჩი"	38	16	7	15	61—62	39
„შინიკი"	38	15	8	15	41—39	38
„პამირი"	38	15	8	15	59—61	38
ასკ რ.	38	13	10	15	41—43	36
„მეტალურ."	38	14	8	16	38—40	36
„სპარ" ი. ფ.	38	13	10	15	47—53	36
„სპარ." ორ.	38	11	14	13	40—50	36
„თერგი"	38	10	13	15	39—60	33
„რუბინი"	38	6	18	14	39—55	30
„ყუბანი"	38	10	7	21	34—69	27
„დაუგავა"	38	7	10	21	33—56	24
„იალბუზი"	38	5	7	26	32—73	17

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის შედეგი ტაშკენტის „ფახთაქორის" და პერმის „ზვეზდის" მატჩისა, რომელიც გუშინ გაიმართა.

„გურია" უშედეგოდ უტევდა

მატჩი პირველ ლიგაში გადასასვლელად

ლანჩხუთი. „კოლმეურნის" სტადიონი. 1 ნოემბერი.

„გურია" (ლანჩხუთი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:0.

„გურია": მაყაშვილი, გაბრიჩიძე, ნემსაძე, თავაძე, მამედოვი, ძაგანია, მჭედლიშვილი (გოგუაძე), ჩხაიძე (სამსონაძე), სანაია, ტროიანი, სიხარულიძე.

„ურალმაში": ლეონოვი, შიშკინი, გოლუბკოვი, ზაბიშნი, ვოიტენკო, კალაშნიკოვი, ვილდიაევი, გურჟეევი, ვასილჩენკო (ხამადიევი), იარკინი (ამიროპულო), რიაზანოვი.

მსაჯი ვ. ჟარკოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებული არიან გაბრიჩიძე, ძაგანია.

II ლიგის ზონებში გამარჯვებული გუნდების — ლანჩხუთის „გურიისა" და სვერდლოვსკის „ურალმაშის" პირველ მატჩს ლანჩხუთში შესანიშნავი ამინდი დაესწრო — წყნარი, მზიანი. ტრიბუნები ვერ იტევდა მაყურებლებს, რომელთა შორის მრავლად იყვნენ არა მარტო ადგილობრივი, არამედ მახლობელი რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსული ფეხბურთის მოყვარულები.

„გურია" და „ურალმაში" სხვადასხვა ზონის წარმომადგენლები არიან, ერთმანეთს არ იცნობენ და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მატჩის დასაწყისში გარკვეული დრო დაეთმობოდა დაზვერვას, ერთმანეთის სუსტი მხარეების შესწავლას, მაგრამ საამისოდ, ეტყობა, არც ერთ მხარეს არ ეცალა. ბრძოლას პირველივე წუთებიდანვე უკიდურესად დაძაბული ხასიათი მიეცა, მასპინძლებმა მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, სტუმრები იძულებული იყვნენ მიეღოთ იგი, ვინაიდან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინიციატივის ხელში აღებას, საერთო უპირატესობის მოპოვებას.

ამ ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურობდა ლანჩხუთელთა ნახევარდაცვის რგოლი, რომელიც დიდ სამუშაოს ეწეოდა შუა მინდორში, ენერგიულად უვნებელყოფდა მოწინააღმდეგის კონტრშეტევებს, ხშირად გადადიოდა მის ნახევარზე და შორი მანძილიდან აგზავნიდა ბურთებს ლეონოვის კარისკენ.

„ურალმაშს", ეტყობა, მაინც გააჩნდა გარკვეული ინფორმაცია ლანჩხუთელთა ცალკეულ მოთამაშეებზე, ვინაიდან პერსონალური მეურვეობა დაუნიშნეს ყველაზე შედეგიან ფეხბურთელებს — მჭედლიშვილს და ტროიანს, თავიანთ მხრივ კი დისპეტჩერის როლი დააკისრეს სწრაფ, ტექნიკურ მოთამაშეს გურჟეევს, რომელიც საუკეთესოდ ართმევდა თავს რთულ ფუნქციებს, თვითონაც გადიოდა კარგ პოზიციაში და პარტნიორებსაც ხშირად უქმნიდა საამისო საშუალებას. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა მაყაშვილს რიაზანოვის, ვასილჩენკოს და გურჟეევისგან, მაგრამ არაერთხელ იხსნა კარი ლეონოვმაც, რომელმაც გაბედულად, თავგანწირვით ითამაშა სანაიას, გაბრიჩიძის, მჭედლიშვილის, ჩხაიძის გარღვევებისას.

პირველ ტაიმში გამოკვეთილი ტერიტორიული უპირატესობა არც ერთ მხარეს არა ჰქონია, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებმა საკმაო ხნით და მტკიცედ აიღეს ხელთ თამაშის სადავეები და „ურალმაშის" კარი განუწყვეტელი იერიშების ობიექტად იქცა. თითქმის მთელი 20 წუთის მანძილზე ბურთი არ მოსცილებია სტუმრების საჯარიმო მოედანს, იყო მომენტები, როცა გოლი თითქოს გარდუვალი ჩანდა, მეკარე ლეონოვს და მცველებს უმძიმესი სამუშაო დააწვათ, მაგრამ ბურთის გატანა არ მოხერხდა.

შემდგომში იერიშებმა მოიკლო, თავი იჩინა იმ გარემოებამ, რომ „გურიის" რიგებს ტრავმების გამო გამოაკლდათ მჭედლიშვილი და ჩხაიძე, სვერდლოვსკელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და საბოლოოდ მიაღწიეს დასახულ მიზანს — ფრეს. როგორც ვიცით, 2 გადასასვლელი მატჩის ფორმულით I ლიგაში სათამაშო ვიზას მიიღებს ის, ვინც 4 შესაძლებლიდან მეტ ქულას დააგროვებს (ქულათა თანაფარდობის შემთხვევაში გატანილ და მიღებულ ბურთებს მნიშვნელობა არა აქვს და მეტოქეები დამატებით მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს). აქედან გამომდინარე, „ურალმაშს" გარკვეული უპირატესობა აქვს 5 ნოემბრისთვის თავის მინდორზე, მით უმეტეს, რომ ლანჩხუთელებს ახლა აკლიათ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე.

„გურიამ" ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება თავის მინდორზე გამოცდილ, ძლიერ მოწინააღმდეგესთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოველმა არბიტრმა ვ. ჟარკოვმა უკიდურესი დაძაბულობის პირობებში ვერ შეძლო აღეკვეთა ორმხრივი უხეშობა და, საერთოდ, ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

ნ. ჩხატარაშვილი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,
ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

ითამაშეს სხვა ზონებში გამარჯვებულმა გუნდებმაც. პიატიგორსკის „მაშუკმა" მოუგო კრივოი როგის „კრივბასს" — 1:0, ხოლო იანგიერის „იანგიერმა" და ლენინგრადის „დინამომ" ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

პელე, ბესტი, უაილი

აშშ-ს საფეხბურთო ჩემპიონატმა ბოლოსდაბოლოს მოიპოვა პოპულარობა მაყურებელთა შორის. უკანასკნელი სეზონის მანძილზე თამაშებს დაესწრო 2 მილიონი მაყურებელი, რაც თითო თამაშზე 20 ათას კაცს უდრის. ეს სარეკორდო მაჩვენებელია ამ ქვეყნისთვის.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერები იყვნენ ბრაზილიელი პელე, ჩრ. ირლანდიელი ბესტი (ახლა ინგლისში დაბრუნდა) და ინგლისელი უაილი. მათ 33-33 ბურთი გაიტანეს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

დუბლიორთა ნაცვლად — ჭაბუკები

გდრ-ის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ამიერიდან ამ ქვეყნის პირველი ლიგის ოსტატთა გუნდებთან იქნებიან არა დუბლიორები, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია მიღებული, არამედ ჭაბუკთა კოლექტივები (18-დან 21 წლამდე). ამ ღონისძიებით გდრ-ის ფეხბურთის ფედერაცია ცდილობს უკეთესი ცვლა მოუმზადოს მოქმედ ოსტატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლონეთისა და საქართველოს ნორჩ ტანმოვარჯიშეთა მორიგი შეხვედრა

ტრადიცია გრძელდება

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ კრაკოვის სპორტსაზოგადოება „ვისლისა“ და თბილისის განათლების განყოფილების გ. ევნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სკოლის აღსაზრდელები სპორტმა დაამეგობრა. ოთხი წელია კრაკოვსა და თბილისში ტარდება ამ კოლექტივების ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური შეხვედრები, რომლებიც ახალგაზრდა სპორტსმენებს მომავალი საპასუხისმგებლო სტარტებისთვის უკეთ მომზადებაში ეხმარება.

ამჯერად, წინა წლებისგან განსხვავებით, „ვისლის“ მესვეურებმა თბილისში სასპარეზოდ მხოლოდ გოგონათა გუნდი ჩამოიყვანეს.

მასპინძელთა სახელით სარბიელზე 12-13 წლის სპორტსმენები გამოვიდნენ. მიუხედავად ამისა, ნონა სულაქველიძემ, ქეთევან ციმაკურიძემ, მანონ სურმავამ, მაია ჯიქიამ, ნანა ნაცვლიშვილმა, ხათუნა ნანიშვილმა და ლალი მესტიაშვილმა 4-6 წლით უფროს მეტოქეებთან ასპარეზობა გაბედულად დაიწყეს და გუნდურ ბრძოლაში აჯობეს კიდეც მათ.

სამაგიეროდ, სტუმრებმა პირად შეჯიბრებაში იყოჩაღეს. აბსოლუტურ ჩათვლაში I ადგილზე პოლონელი ევა ხამულევიჩი გავიდა — 36,9 ქულა. მეორე იყო მისი თანაგუნდელი მაგოუეტა სოშინი — 36,8. III ადგილი თბილისელ ციმაკურიძეს ხვდა — 36,65.

თავისუფალ დროს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მასპინძლებმა მათ სამახსოვრო საჩუქრები უძღვნეს.

ი. იოსებიძე.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მ. სოშინი, ნ. ნაცვლიშვილი, ე. ხამულევიჩი და ქ. ციმაკურიძე ასპარეზობის შემდეგ; მ. სურმავა ძელზე ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტოები.

უნივერსიადა — 77

სოფია. საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აღმასრულებელი კომიტეტი სამ დღეს მსჯელობდა მსოფლიო სტუდენტური სპორტის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. აქვე იმსჯელეს 1977 წლის უნივერსიადის შესახებაც, რომელიც სოფიაში ჩატარდება.

ამჟამად სტუდენტთა მომავალი ასპარეზობის საორგანიზაციო კომიტეტის უპირველესი საზრუნავია ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა, შეჯიბრებათა ადგილების კეთილმოწყობა.

ფისუ-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა უნივერსიადის რეგლამენტი. სტუდენტთა საერთაშორისო საზაფხულო თამაშები ჩატარდება 1977 წლის 17-28 აგვისტოს. პროგრამაში შეტანილია სპორტის შემდეგი სახეობები: მძლეოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში, ჩოგბურთი, წყალბურთი, წყალში ხტომა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა.

როგორც ფისუ-ს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ (იტალია) განაცხადა, ზამთრის სტუდენტური თამაშები ჩატარდება 1978 წელს ჩეხოსლოვაკიაში, შპინდლერუვ-მლინში, ხოლო სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთში 1977 წლის იანვარში პოლონეთში მოეწყობა.

1977 წლის უნივერსიადაზე სოფიაში თავს მოიყრის 4-5 ათასი სპორტსმენი, აგრეთვე, 70 ქვეყნის წარმომადგენელი ათასზე მეტი ჟურნალისტი.

— მსოფლიოში სპორტის მიმდევართა დაახლოებით 80 პროცენტს შეადგენენ სწორედ სტუდენტები, რომელთაგანაც ბევრი მონრეალის ოლიმპიადის სარბიელზე ვიხილეთ, — თქვა ნებიოლომ. — ჩვენ გვსურს, რომ უნივერსიადა იყოს არა მარტო სპორტული ოსტატობის დემონსტრაცია, არამედ ხალხთა შორის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ზეიმიც. სტუდენტთა ასპარეზობამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის განმტკიცებას.

შაშის ამბები

ახალი ჩემპიონი

ამას წინათ იალტაში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი 64-უჯრიან შაშში. პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 16 მოთამაშე, მათ შორის იყვნენ სსრ კავშირის 1975 წლის ჩემპიონები ე. მურსალოვი (ხარკოვი) და ბ. სიმონიანი (ბაქო), სსრ კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის ვ. ფილიმონოვი (არხანგელსკი), დიდოსტატები ვ. გაბრიელიანი, ი. არუსტამოვი (ორივე — ბაქო) და ა. პლაკხინი (მინსკი).

ბრძოლა თავიდანვე უშედავათოდ წარიმართა. ეს განაპირობა შეჯიბრების ახალმა წესმა: მეტოქენი ერთმანეთში ორ-ორ პარტიას თამაშობდნენ და ცხრილში მიკრო-მატჩის საერთო შედეგი აღინიშნებოდა. შეჯიბრების მთავარი მსაჯის აზრით, მიკრო-მატჩების სისტემამ გაამართლა თავისი დანიშნულება — შეხვედრათა შედეგიანობა შესამჩნევად გაიზარდა.

დიდი აღმავლობით თამაშობდა რიგელი ოსტატი ვ. ვიგმანი, რომელმაც ვადამდე მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. სამაგიეროდ, სხვა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა ძალზე დაიძაბა, მით უმეტეს, რომ მათზე სულ ცოტა, ექვს მონაწილეს ეჭირა თვალი.

საბოლოოდ, I ადგილი დაიკავა ვ. ვიგმანმა — 11 ქულა, II. ა. ვოიცეხჩუკმა (ლატვია) — 9,5, III. ე. მურსალოვმა — 9.

ხსოვნის პატივსაცემად

ბაქოში ტრადიციად იქცა აზერბაიჯანელი მოშაშის, ოსტატ დ. შემედოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირების გამართვა. ამჯერად, ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში გაიმარჯვა დიდოსტატმა ვ. გაბრიელიანმა — 10,5 ქულა 15-დან. ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვა დიდოსტატმა ი. არუსტამოვმა. III ადგილი ხვდა ოსტატ ბ. სიმონიანს — 9.

ტორე პირველია

ჯაკარტაში (ინდონეზია) გაიმართა აზიის ქვეყნების ოსტატთა ტურნირი, რომელშიც ფილიპინელმა დიდოსტატმა ე. ტორემ 14 შეხვედრიდან 12 ქულა დააგროვა და გაიმარჯვა. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა სინგაპურელმა ჩჟან ჩჟოუ-ვეიმ, რომელმაც საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მწვრთნელიც დამარცხდა

გამოჩენილი შვედი დიდოსტატი უ. ანდერსონი უკვე მეორე წელია მწვრთნელად მუშაობს კუბაში. ამავე დროს იგი ტურნირებშიც თამაშობს. ამას წინათ ანდერსონმა მონაწილეობა მიიღო გუნესში გამართულ შეჯიბრებაში, სადაც 13 მეტოქე ჰყავდა. მან 11 ქულით I ადგილი დაიკავა, მაგრამ ტურნირი წაუგებლად მაინც ვერ განვლო. დიდოსტატს კუბელმა ფ. პერესმა მოუგო.

ივანკას დიდი წვლილი

ცნობილი უნგრელი ოსტატი მარია ივანკა მსოფლიო პირველობის თბილისის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეა და ამიტომ დიდ ინტერესს იწვევს მისი ყოველი გამოსვლა. ახლახან ივანკა უნგრეთისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ქალთა მატჩში მონაწილეობდა, რომელიც უნგრელებმა მოიგეს — 18,5:17,5. ამ წარმატებაში ივანკას დიდი წვლილი მიუძღვის — 5 ქულა 6-დან.

პარიზის მახლობლად

ამ ბოლო ხანს საფრანგეთში მეტი ყურადღება ექცევა ჭადრაკს. პარიზის მახლობელ ქალაქ ბანში ტრადიციად იქცა საჭადრაკო ფესტივალების მოწყობა. ამას წინათ დამთავრებულ ფესტივალში 263 მოჭადრაკე მონაწილეობდა და გაიმარჯვა სტუმარმა — რუმინელმა ოსტატმა გიცესკუმ. II-III ადგილები გაიყვეს ფრანგმა ჟიფარმა და ბულგარელმა ოსტატმა სპირიდონოვმა.

[illegible]

სად არის ის ქუჩა, სად არის ის სახლი...

ტრანსპორტის მუშაკთა საკავშირო დღისადმი მიძღვნილ პირადგუნდურ შეჯიბრებაში, რომელსაც გასულ შაბათს სპორტის სასახლის წინ მდებარე მოედანზე მიეცა სტარტი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მსუბუქი ტაქსების საწარმოთა მოწინავე მძღოლების ხუთი კოლექტივი მონაწილეობდა.

პროგრამაში შედიოდა მანქანის თითო წინა და უკანა თვლის სწრაფად მოხსნა და დამაგრება, სლალომი და 10 საკონტროლო პუნქტის (საერთო სიგრძე — 60 კმ) უმოკლესი გზით გავლა დევიზით — სად არის ის ქუჩა, სად არის ის სახლი...

გამარჯვებისთვის ბრძოლა წარმატებით დაიწყეს ტაქსების № 2 საწარმოს მძღოლებმა, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატმა ო. კოტაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა შ. ქოქაშვილმა, ვ. კოვლოევმა და ვ. კაპლინმა, რომლებმაც სტარტიდანვე ხელთ იგდეს ლიდერობა. ლიდერებს კვალში მიჰყვებოდნენ ა. ჩომახიძე, ა. ყიფიანი, რ. დანელიანი, ი. თოფურია (ყველა — ტაქსების № 3 საწარმო), ქ. ჰაბაშვილი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ვ. შტანიკოვი (ორივე — ტაქსების № 4 საწარმო) და ს. მიხაილიდისი (ტაქსების № 5 საწარმო).

საკონტროლო პუნქტები შეჯიბრების ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო ეტაპი იყო, სადაც ოსტატობით კვლავ გამოიჩინეს თავი ტაქსების № 2 საწარმოს წარმომადგენლებმა. ამ კოლექტივის წევრები ო. კოტაშვილი, შ. ქოქაშვილი, ვ. კაპლინი, ვ. კოვლოევი, ა. მაილოვი და ლ. ანასტასიდი წლეულს ეს უკვე მეორედ ავიდნენ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მეორე იყო ტაქსების № 5 საწარმოს გუნდი, ხოლო ტაქსების № 1 საწარმოს წარმომადგენლებს III ადგილი ხვდათ.

პირად ჩათვლაში კვლავ ტაქსების № 2 საწარმოს მძღოლებმა იმარჯვეს. I ადგილი ო. კოტაშვილმა დაიკავა. II — ვ. კაპლინმა, III — ვ. კოვლოევმა.

ასპარეზობის დასასრულს გამარჯვებულ გუნდებსა და მონაწილეებს საზეიმოდ გადაეცათ თასები, დიპლომები და საჩუქრები.

ი. იუნაევი

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: შეჯიბრების მონაწილენი სტარტზე; ასპარეზობის ჩემპიონი ო. კოტაშვილი დაჯილდოების შემდეგ.

ავტორის ფოტოები.

ევროპისა და მსოფლიო ტურნირების წინ

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში ცსკა-ს ხელბურთელები ბანია ლუკის „ბორაცს“ (იუგოსლავია) შეხვდებიან, ხოლო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტებს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი რეიკიავიკის „ვალიურთან“ (ისლანდია) ექნებათ.

სტუდენტთა მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრები სტარტს აიღებს ბელოსტოკის ქვეჯგუფში, სადაც მის გარდა ითამაშებენ იუგოსლავიის, ალჟირისა და უნგრეთის გუნდები. ჩემპიონატი გაიმართება მომავალი წლის 9-16 იანვარს პოლონეთში.

ჰოლანდიელები ემზადებიან

ჰააგა. ჰოლანდიის მოციგურავე ქალთა ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ეს არის აბ კროოკი, რომელიც სამოციან წლებში ამ ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურ და სწრაფ მოციგურავედ ითვლებოდა. გუნდის ძველი უფროსი მწვრთნელი გერარდ მაარსე გადააყენეს იმის გამო, რომ ინსბრუკის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჰოლანდიელმა სპორტსმენებმა ვერც ერთი მედალი ვერ მოიგეს.

რაც შეეხება ნიდერლანდების მოციგურავე ვაჟთა გუნდს, თუ მის მწვრთნელებს ლეენ პფრომერსა და ჰენკ გემზერს დაუჯერებთ, იგი ინტენსიურად ემზადება მომავალი ზამთრის სეზონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიაში ცხრა ხელოვნური ბილიკია, გუნდი საწვრთნელად ინცელს (გფრ) გაემგზავრა.

— მომავალს იმედის თვალით შევყურებთ, — ამბობს პფრომერი, რომელიც გფრ-ში ახლავს მსოფლიო ჩემპიონ პიტ კლეინეს, მსოფლიო რეკორდსმენს 1500 მეტრზე რბენაში ჰანს ვან ჰელდენს, იან დერკსენს კლაას ფრინდსა და იოოპ პაასმანს.

ინცელიდან ჰოლანდიელი მოციგურავეები სამშობლოში დაემგზავრებიან და ხელოვნურ ყინულზე იასპარეზებენ.

(საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14954